



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49221102

თარიღი:20/04/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 47

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება - „მერსედეს ბენცის“ მარკის სპეციალიზებული ავტომობილის, საიდენტიფიკაციო ნომერი WDAYMC949EL820617, სახელმწიფო ნომერი JT570JT - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და დასუფთავების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 აპრილის N48-482210885 წერილი, რომელშიც ითხოვს, რომ მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება - „მერსედეს ბენცის“ მარკის სპეციალიზებული ავტომობილის (საიდენტიფიკაციო ნომერი WDAYMC949EL820617, სახელმწიფო ნომერი JT570JT) ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და დასუფთავების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106¹-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და დასუფთავების გაერთიანებას“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს ავტოსატრანსპორტო საშუალება - „მერსედეს ბენცის“ მარკის სპეციალიზებული ავტომობილი მასზე ზედდადგმული ჰიდრაავლიკური წნეხით, საიდენტიფიკაციო ნომერი WDAYMC949EL820617, სახელმწიფო ნომერი JT570JT.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

